შპს „ივერიაფარმა“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო 31/12/2023	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო 31/12/2022	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო 31/12/2021
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	28 754,64	19 373,86	89 766,05
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	28 653,86	12 676,21	11 315,05
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემულ	4 590,25	12 633,90	20 858,45
მარაგები	420 170,46	323 651,51	329 416,37
- მზა პროდუქცია	158 530,67	158 527,70	5 840,72
- სხვა	261 639,79	165 123,81	323 575,65
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	31 450,42	18 615,29	11 433,72
ბიოლოგიური აქტივები	0,00	0,00	0,00
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	107 011,27	114 797,62	122 718,18
ძირითადი საშუალებები	2 230 761,98	2 284 006,90	2 278 729,76
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	2 851 392,88	2 785 755,29	2 864 237,58
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	642 152,10	256 344,98	12 776,99
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		52,33	
საგადასახადო ვალდებულებები	1 753,39		
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	602 777,93	460 722,33	559 690,42
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	12 475,67	2 880,07	
სულ ვალდებულებები	1 259 159,09	719 999,71	572 467,41
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალ	969 822,03	1 443 343,82	1 669 358,41
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	622 411,76	622 411,76	622 411,76
სულ საკუთარი კაპიტალი	1 592 233,79	2 065 755,58	2 291 770,17
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულ	2 851 392,88	2 785 755,29	2 864 237,58
სულ მოკლევადიანი აქტივები	513 619,63	386 950,77	462 789,64
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	656 381,00	229 277,98	12 776,99

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	0,00	0,00

	საანგარიშგებო პერიოდი 2023	საანგარიშგებო პერიოდი 2022
ნეტო ამონაგები	17 183	(37 161)
საქონლის გაყიდვიდან	22 363,62	227 555,79
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
გაყიდვების თვითღირებულება	-5 180,21	-264 716,94
საერთო მოგება	17 183,41	-37 161,15
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-123 926,29	-121 863,89
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-68 617,77	-67 434,79
საპროცენტო შემოსავალი	2 614,57	
საპროცენტო ხარჯი		
იჯარის ხარჯი	-9 407,41	-7 500,00
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-243 527,71	-69 332,29
სულ საოპერაციო ხარჯები	-442 864,61	-266 130,97
საოპერაციო მოგება	-425 681,20	-303 292,12
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:	-47 840,59	77 277,53
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი)		
მარაგების გაუფასურების გაუფასურების		
სხვა არაფინანსური აქტივების		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-22 744,88	92 593,85
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-25 095,71	-15 316,32
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის	-473 521,79	-226 014,59
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალ	-473 521,79	-226 014,59

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0,00	0,00
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-473 521,79	-226 014,59

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის	2 065 755,58	2 291 770,17
შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერი	1 592 233,79	2 065 755,58

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ივერიაფარმა“ (სნ249264996) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2000 წლის 7ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, დ. წყნეთი, ზონა "ბ" კოტეჯი №7. ფაქტობრივი მისამართია: თბილისი: შალვა გოგიძის 6 ა

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ფარმაცევტული პროდუქციისა და ფარმაცევტულლი პროდუქციისათვის საჭირო ნედლეულის წარმოება.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია სამუშაო ვალუტაში –ლარში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. 2023 წელს კომპანიას შემოსავალის უმრავლესობა შედგებოდა უცხოეთში რეგისტრირებული HARTINGTON BUSINESS S.L. MATARO BARSELONA კომპანიისაგან.

ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია

4 . ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახადების გამოკლებით.

4. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა

6. ფული და უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება.

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. არაფულადი მუხლები არ გადაფასდება.

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც

შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

მიწა.....ცვეთა არ ერიცხება

ლაბორატორიული დანადგარები და აღჭურვილობა..... 10-20

შენობა-ნაგებობები.....50

ავტოტრანსპორტი.....5-10

ოფისის დანადგარები, აღჭურვილობა და ავეჯი.....5-20

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

9. არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიას.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

11. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

12. საწესდებო კაპიტალი.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. გასაზრდელად.

13. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

14. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

წინა პერიოდის შეცდომები არის ერთი ან მეტი წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებულ უზუსტობას ან ინფორმაციის გამოტოვება, რაც გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ვერ გამოიყენეს, ან არასწორად გამოიყენეს საიმედო ინფორმაცია.

წინა პერიოდის შესცდომების შესწორება ხდება რეტროსპექტულად

15. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

დირექტორი გურამ კაპანაძე

მთ ბუღალტერი მაია წიკლაური

INVERIAPHARMA LTD GEORGIA
249264996